გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 1993 2017 წლის 4 დეკემბერი ქ. გურჯაანი

არქიტექტურულ - სამშენებლო პროექტის შეთანხმების და მშენებლობის სანებართვო მოწმობის გაცემის შესახებ გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 6 დეკემბრის № 2855 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ,

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 31-ე, 33-ე 36-ე, 37-ე, 38-ე, 39-ე, 54-ე, 55-ე, 56-ე, 58-ე, 60-ე მუხლების ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, **სოფელ კარდენახის საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილის ანნა სიბოშვილის** (პ№01017020237) წერილობითი განცხადების (30.10.2017წ. №3447-ბ) საფუძველზე, გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახში სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ფართით 8115.00კვ.მ (ს/კ-51,15,76,260) ამორტიზირებული შენობა ნაგებობის(ყოფილი საპირფარეშო) მშენებლობის ვადის გაგრძელების მიზნით.

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნას ცვლილება გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 6 დეკემბრის № 2855 ბრძანებაში არქიტექტურულ - სამშენებლო პროექტის შეთანხმების და მშენებლობის სანებართვო მოწმობის გაცემის შესახებ მესამე პუნქტში და მშენებლობის ვადა გაუგრძელდეს (6) ექვსი თვით 2018 წლის 7 ივნისამდე. აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით შეტანილ იქნას ცვლილება აგრეთვე გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 6 დეკემბრის №2855 ბრძანების საფუძველზე გაცემულ №000288 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში და მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2018 წლის 7 ივნისამდე.
2. ეცნობოს აღნიშნულის შესახებ გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურს.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ.№24);

მერი **არჩილი ხანდამაშვილი**